ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

მასწავლებელთა თანამშრომლობა - სასწავლო პრობლემების გადაჭრის საწინდარი

ირმა ბასილაძე

წონიარისის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

მზია ხალვაში

წონიარისის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი.

ანოტაცია

ნაშრომი ეხება მასწავლებელთა თანამშრომლობის როლს სწავლებაში არსებული პრობლემის გადაწყვეტისათვის. სტატიაში განხილულია ისტორიისა და ხელოვნების ინტეგრირებული გაკვეთილი, როგორც მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლების ეფექტური საშუალება. დეტალურად არის აღწერილი გაკვეთილის მსვლელობა არაფორმალურ გარემოში, მოსწავლეთა დამოუკიდებელი აქტივობები და ინიციატივები, მოსწავლეთა სწავლის შედეგები პროცესის დასრულების შემდეგ. სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი აქტივობა არის მასწავლებელთა თანამშრომლობა და კოლეგიალურობა.

საკვანძო სიტყვები: *თანამშრომლობა, მოტივაცია, მასწავლებელი.*

ალბათ ყველა პედაგოგს გვქონია შემთხვევა, როდესაც სასწავლო პროცესში უიმედო მდგომარეობაში აღმოვჩენილვართ. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი მასწავლებელთა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ნდობა და ურთიერთპატივისცემაა. ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია სასწავლო პროცესით მოსწავლეთა დაინტერესება, რომელიც ხშირად პედაგოგის წინაშე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მით უფრო, თანამედროვე ტექნიკური გამოწვევების გარემოში.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორია ყველა ბავშვის საყვარელი საგანია, მეათე კლასის მოსწავლეები საგნის შესწავლის პროცესში არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ და სწავლების პროცესი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ვალდებულებას წარმოადგენდა. როცა დავინტერესდი, აღმოჩნდა, რომ სკოლის ბევრი მასწავლებელი უჩივის მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას მეათე კლასში. რა თქმა უნდა, მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია ამ ასაკში მრავალი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული, ამასთან, გასათვალისწინებელია რეგიონის თავისებურებაც, მაგრამ ეს ახსნა გამოსავალი არ არის. მასწავლებლებმა

ISSN 1512-1801

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს პრობლემები გადავლახოთ და სწავლის ხარისხი ავამაღლოთ.
დიდხანს არ მიფიქრია, დახმარებისათვის მივმართე კოლეგებს. საკითხი განვიხილეთ კათედრაზე. კოლეგებმა მირჩიეს, რომ შემეცვალა სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელო არ გამომეყენებინა როგორც ერთადერთი და აუცილებელი რესურსი, მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას გვაძლევს ეროვნული სასწავლო გეგმა, მთავარია, მასწავლებლის მიერ შერჩეული რესურსი ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგზე გასვლას.
შექმნილ სიტუაციაში ხელოვნების მასწავლებლმა შემომთავაზა თანამშრომლობა. დავგეგმეთ ინტეგრირებული პროექტ-გაკვეთილი, რომელსაც ჩავატარებდით მოსწავლეთათვის უჩვეულო გარემოში, საკლასო ოთახის გარეთ, შესასწავლი ობიექტის ტერიტორიაზე. ასევე, მათ მიერ განხორციელებული აქტივობებიც განსხვავებული იქნებოდა და მათგან მოითხოვდა უფრო მეტად დამოუკიდებელ ქმედებებს, ვიდრე მასწავლებლის მიერ მასალის გადმოცემაა.

პირველ ეტაპზე *ჩვენი მიზანი იყო როგორმე დაგვეინტერესებინა მოსწავლეები ნებისმირი სახის ისტორიულ წყაროზე-ძეგლზე მუშაობით, ვინაიდან ისტორიის სწავლის პროცესში, მათ ყველაზე მეტად წყაროებზე მუშაობა უჭირდათ. მოსწავლეებს შევთავაზეთ რამდენიმე იდეა. საბოლოოდ შეთანხმდნენ შეესწავლათ სოფელში არსებული ისტორიული ძეგლი, თამარ მეფის თაღოვანი ხიდი, როგორც ისტორიულ წყარო .*
მოსწავლეებმა თავდაპირველად მოიძიეს წერილობითი ინფორმაცია ხიდის ისტორიის შესახებ, შემდეგ ადგილზე, ხიდის ტერიტორიაზე, ჩემთან, ისტორიის მასწავლებელთან ერთად შეისწავლეს ხიდის სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა.
ხოლო ***ხელოვნების მასწავლებელთან*** *ერთად - იმსჯელეს ხიდის არქიტექტურულ მნიშვნელობაზე. შეასრულეს ჩანახატები. გადაიღეს ფოტოები.*
მეორე ეტაპზე *მოსწავლეებს შევთავაზეთ პრაქტიკული სამუშოები, კერძოდ მათ უნდა დაემზადებინათ თვალსაჩინოება, რომელიც იქნებოდა ისტორიული ინფორმაციის შემცველი. აქ უკვე სასწავლო გარემო ხელოვნების კაბინეტი იყო, ხოლო რესურსები - მუყაოს ქაღალდი, ფერადი ქაღალდები, წებო მაკრატელი, მარკერი, ფერადი საღებავები, მცირე ზომის ქვები, ცემენტი, წყალი, მასტიხინი.*
მასწავლებლებთან ერთად სამუშაოდ გადაინაცვლეს ხელოვნების კაბინეტში, დაამზადეს სოფლის რუკა, რომელშიც აღნიშნეს ხიდის მდებარეობა.
პრაქტიკულად დაამზადეს თაღოვანი ხიდი.
მესამე ეტაპზე მოსწვლეებს უნდა *გაეთავისებინათ ისტორიკოსის როლი, შეექმნათ ისტორიული წყარო. ამ ეტაპზე გარემოს კომპიუტერული ლაბორატორია წარმოადგენდა, ხოლო რესურსებს A-4 ფორმატის ქაღალდი, მოძიებული ინფორმაცია და ფოტო მასალები,*

ISSN 1512-1801

*კომპიუტერი. მოსწავლეებმა თავად შექმნეს რესურსი ,, **ჩვენი დროის ისტორიკოსები"** - დაამზადეს ბროშურები, რომელშიც დაიტანეს საკუთარ სოფელში არსებული მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების შესახებ წერილობითი ინფორმაცია, ფოტო მასალა.*
ამ პროცესების შედეგად დასახულ მიზანს მივაღწიეთ. *საწყის ეტაპზე მოსწავლეების უინტერესობა შეიმჩნეოდა ინფორმაციის მოძიება- გაცნობის დროს, მაგრამ თანდათანობით მატულობდა მოტივაცია.*
მოსწავლეები *განსაკუთრებული მოტივაციით გამოირჩეოდნენ რუკის, ხიდის, ბროშურის დამზადების პროცესში, მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა ყველა მოსწავლე.*
საბოლოოდ მოსწავლებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი -ისტორიული წყარო მნიშვნელოვანია ისტორიული ეპოქის შესასწავლად.
შედეგების კვლევის ანალიზმა გვიჩვენა რომ :

1. *განსხვავებული ფორმატის გაკვეთილი, ამ შემთხვევაში ინტეგრირებული გაკვეთილი, და განსხვავებული სასწავლო გარემო, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა.*
2. *ყოველი აქტივობის პროცესში მატულობს მოსწავლეთა მოტივაცია.*
3. *მოსწავლეებმა შეიცვალეს აზრი სხვადასხვა ისტორიული წყაროების, დოკუმენტების, ისტორიული ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებით.*
4. *მასწავლებლისათვის თვალსაჩინოა მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეები;*
5. *მუშაობის პროცესში, გამოიკვეთა 8- მოსწალის განსაკუთრებული აქტიურობა, მუშაობას თავს არიდებდა და გამირჩეოდა ნაკლებ აქტიურობით სამი მოსწავლე*
6. *შეგვექმნა გარკვეული პრობლემები გადაადგილების დროს, ასევე სამუსაო მასალების მობილიზების პროცესში.*
7. *გაკვეთილის ბოლოს გაკეთებული შეჯამება და თვითშეფასება კიდევ უფრო აღვივებდა მოსწავლეებში საკუთარი თავისადმი მეტის გაკეთების მოთხოვნილებას. კრიტიკულ დამკიდებულებას -,, შემეძლო მეტი , მომავალში უკეთ გავაკეთებ."*
8. *და ბოლოს, რაც მთვარია, ამ ტიპის გაკვეტილით გავედით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგზე.*

როგორც აღწერილი პროცესიდან დავინახეთ, მასწავლებლის მიერ პრობლემის მოგვარებაში უდიდესი როლი ენიჭება მასწავლებელთა თანამშრომლობას, ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას. ჩვენ შემთხვევაში, „სკოლის ბაზაზე მასწავლებლითა პროფესიული განვითარების სატრენინგო მასალაში" წარმოდგენილი თანამშრომლობის გზებიდან - გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა, უკვე დაგეგმილი გაკვეთილის განხილვა, გაკვეთილზე დასწრება, გაკვეთილის შემდგომი შეხვედრა, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი - თანამშრომლობის გზით დავგეგმეთ და განვახორციელეთ პროექტ-გაკვეთილი. პროექტის განხორციელების

ISSN 1512-1801

პროცესში გამოვიყენეთ უჩვეულო სასწავლო გარემო და თავად გაკვეთილის არანორმირებული და განსხვავებული ფორმატი. გაკვეთილი, ფაქტობრივად, მოსწავლეთა დამოუკიდებელი ინიციატივებითა და დამოუკიდებელი აქტივობებით წარიმართა. თითქოს მასწავლებელთა ჩარევა მხოლოდ გეზის მიცემით გამოიხატებოდა, მაგრამ გაკვეთილის ეს ფორმატი და მისი მიმდინარეობა სწორედ მასწავლებლების ინიციატივებით იქნა დაგეგმილი. საუკეთესო შედეგზე გავედით, რაც მთავარია, გაიზარდა მოსწავლეთა ინიციატივა და აქტივობები. ცხდია, ამ ფორმატის განხორციელება სისტემატიურად შეუძლებელია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შეუძლებელია ყველა თემის ასეთი ტექნოლოგიით შესწავლა. ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მიმართოს სწვლების სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს, სხვადასხვა ინიციატივას, სხვადასხვა ტექნოლოგიას, რათა როგორმე გამოიწვიოს მოსწავლეთა დაინტერესება და მოტივაციის ამაღლება.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი აქტივობა არის მასწავლებელთა თანამშრომლობა და კოლეგიალურობა, რომელიც მასწავლებლისთვის ადვილად განსახორციელებელი და კომფორტულია, ვინაიდან მიმდინარეობს ადგილზე, სკოლის ბაზაზე, მასწავლებლისა და მოსწავლეებისათვის ჩვეულ გარემოში. ვფიქრობთ, პროფესიული ზრდის ამ შესაძლებლობას ყველა მასწავლებელი უნდა იყენებდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა.
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლითა პროფესიული განვითარების სატრენინგო მასალა (2013წ)
3. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, თბილისი, 2007 წ.
4. სასწავლო და პროფესიული გარემო. ავტორები: ნინო ნიჟარაძე, ქესი მაკლეინი, ტერეზა ბოლი, ნინო გოგიჩაძე, თეონა ლოდია.